კვირა, 1918 წ. ღვინობისთვის 6 № 187

წელიწადი მეოთხე

კვირა, 1918 წ. ღვინობისთვის 6 № 187

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ.

ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათ ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ფრონტზე სასტიკი იერიშები გრძელდება.—ალბანეთის ფრონტზე ავსტრიელები უკან იხევენ.—ჰელსინგფორსიდან მოსული ცნობით ტროცკი ციმბირის ქალაქ ზაინსკში დასჭრეს.—თალათ ფაშის სიტყვით ოსმალეთის საქმე მოწესრიგებულია ბერლინში.—იაპონიაში ახალი სამინისტრო შესდგა.—სროლა და მკვლელობა თბილისში.




ანნა ნიკოლოზის ასული და ილია დიმიტრის ძე ბეგთაბეგიშვილები, ზინაიდა კუზმას ასული და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მატილოვები გულისტკივილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის პანაშვიდი ძვირფასი დედის

ანასტასია დავითის ასულის

ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ანჩისხატის ტაძარში, კვირას, 6 ღვინობისთვეს, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1

## თბ. ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ყველა პირველდაწყებით, უმაღლეს სასწავლებლებში, საოსტატო და პროფესიონალურ საქალებო სასწავლებლებში სწავლა დაიწყო 20 ენკენისთვიდან. ოთხ რუსულ პირველდაწყებით სკოლასთან: I ვერისა, ვერის საქალებო, ლადინისა და რიყის სკოლებთან გაიხსნა 4 განყოფილება.

სწავლება ყველა პირველდაწყებით სასწავლებლებში საქალებო პროფესიონალურ და საოსტატო სასწავლებლებში უფასოა. (2—2)

## თბილისის ქალქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებელში: ქართულში, სომხურში, თითრულში (მუსულმანური) და ოსურში საჭიროა ხატვის მასწავლებლები (ქალები თუ კაცები). იმ პირთ, ვისაც ჰსურს ხსენებულ თანამდებობათა მიღება უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ხატვაში და სამშობლო ენა უნდა იცოდნენ.

თხოვნები საჭირო დოკუმენტების კოპიებით მიიღება თფ. ქალაქის გამგეობასთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილებაში 20 ოქტომბრამდე. (2—2)

## კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯან-საღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ,
და მადლიერი მოსრთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პ.ტივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—3

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს“ კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაალმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—5

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ა. ნ. ლევიცკის.

კვირას, 6 ოქტომბერს, დაიდგმის

### ტოსკა

ოპერა 3 მოქმედებად. მუსიკა პუჩინისა.

მონაწილეობას იღებენ: სკვარცევისა, დობროვოლსკისა, ვალიპსკი, ორდა, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი, კურხული.

დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

7 ოქტომბერს, —„აიდა“ 8—„მეფის დანიშნული“ 9—„რიგოლეტო“.

## უსახელო დაწესებულება

უკანასკნელ სხდომაზე ეროვნულმა საბჭომ 40 ხმით 30-ის წინაალმდეგ ახირებული კანონი მიიღო: სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თაოსნობით ეროვნულ საბჭოს ახალი სახელწოდება უნდა მისცემოდა, მაგრამ ამის ნაცვლად იგი სრულებით უსახელო დარჩა. რაშია საქმე?

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ სახელწოდება—ეროვნული მიუღებელი გამოდგა ჩვენი საკანონმდებლო ორგანოსათვის, მიტომ, რომ ის მთელი სახელმწიფოს წარმომადგენლობითი დაწესებულებაა და არა მარტო ქართველი ერისა. როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშისა და ღერბის დაკანონების დროს, ისევე ეხლაც განსაზღვრული სოციალისტური პარტიები ამ საკითხსაც მცირე-მნიშვნელოვან, არა-პრინციპიალურ საკითხად სთვლიდნენ; მიუხედავად ამისა, სწორედ აღნიშნულ მიმართულების პრესაში დიდი ხმაურობა იყო ატეხილი ეროვნულ საბჭოს სახელწოდების გარშემო.

გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებას იმდენი სახელწოდება გამოუჩნდა, რამდენიც არის ფრაქციები მასში; შეიძლება უფრო მეტიც, რადგანაც ზოგი ფრაქცია რყევას განიცდიდა კენჭის ყრის დროს რამდენიმე პროექტის წარდგენის გამო.

საკითხი გადასწყვიტეს სოციალდემოკრატებმა, რომელთაც მთელი ძალების მობილიზაცია მოეხდინათ, საფიქრებელია, „თეთრი გიორგის“ სარევანშოდ. სწორედ მათი წინადადების წყალობით ეროვნულმა საბჭომ დაჰკარგა ძველი სახელწოდება და ამავე დროს დარჩა უსახელო! სოციალდემოკრატების ხელთა ტყემ მრისხანეთა და გადაჭრით უარჰყო ყველა შემოტანილი პროექტი და ერთსულოვნად დააკანონა, ასე ვთქვათ, უსახელო სახელი—საქართველოს პარლამენტი. რა მოსაზრებით? სოციალდემოკრატიის ფრაქციის მომხსენებელი შეეცადა დაესაბუთებინა ფრაქციის გარდაწყვეტილება, მაგრამ მისი არგუმენტები, საკონსტიტუციო კომისიის მომხსენებლის სიტყვები რომ ვიხმარო, უფრო „სადემაგოგიო მასალას წარმოადგენდა“, საბუთები კი სრულიად უილაჯო და ნაკლებ დამაჯერებელი გამოდგა.

საკანონმდებლო დაწესებულებას ის სახელწოდება უნდა მიეცეს, რომელიც შეეფერება მის დანიშნულებასა და გამომდინარეობს ერის ლექსიკოლოგიის კანონებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ერის ისტორიისა და კულტურის ტრადიციებს-კი არ იცავენ, არამედ პოპულიარულ ლოზუნგებს დაეძებენ, რაც ხშირად უშნო სალტო-მორტალებს აკეთებინებს ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის დღევანდელ წინამძღვრებს.

მთელს კულტურულ ქვეყნიერებაზე არ არის მაგალითი, რომ რომელიმე სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებას ეწოდოს მარტო ზოგადი სახელი „პარლამენტი“. მართალია, ქართულ სოციალ-დემოკრატიის ცნობილმა ბელადმა მინისტრ-პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ ამას წინად საჯაროდ საპარტიო ლექციაში ის აზრი გაატარა, რომ ჩვენში ჯერ ყოველგან უცნობი წეს-წყობილება უნდა დავამყაროთო და საქართველოს „სუფთა ფიცარზე“ ახალი სოციალ-პოლიტიკური შემეცნება აღვბეჭდოთო, მაგრამ შესაძლებელია დარიგების სწორწარზიდულად მიღებამ ხშირად ისეთს აბსურდულ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომლის მჭერმეტყველურ მაგალითს გვაძლევს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელი რეზოლუცია...

პარლამენტი კონსტიტუციურ სახელმწიფოში არის სახელმწიფოებრივ უზენაესობის მატარებელი დაწესებულება. ფუნქციების მიხედვით იგი დაყოფილია მომეტებულ ქვეყნებში: საკითხის არსებითად და დეტალურად განმხილველ ორგანოდან გამოყოფილია ორგანო სანქციისა, დამტკიცებისა, ხოლო მათ ფუნქციებში გამოიხატება ნამდვილი პარლამენტარიზმი და, მაშასადამე, ამ დაწესებულებათა კრებული არის თვით „პარლამენტი“. თვითეულ მათგანს განთვისებული სახელწოდება აქვს, მაგალითად, ინგლისში პარლამენტს წარმოადგენს: მეფე, ლორდთა პალატა და სათემო პალატა ერთად აღებული. მაგრამ სახალხო წარმომადგენლობის დაწესებულებას, პარლამენტს, საზოგადოთ, ისე, როგორც ხალხს ეს ტერმინი ესმის, ყოველს სახელმწიფოში სპეციალური სახელწოდება აქვს მითვისებული: მაგალითად: გერმანეთში — რეიხსტაგი, შვედეთში—რიკსტაგი, ფინეთში—სეიმი, საფრანგეთში — შამბრ დე დეპიუტე, ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში — კონგრესსი, ყოფილ რუსეთის იმპერიაში გოსუდარსტვენაია დუმა და სხვ.

სავალდებულო იყო ჩვენთვისაც პარტიული ჟინიანობის გარეშე გამოგვენახა საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებისათვის ისეთი სახელწოდება, რომელიც ეხამება ამ დაწესებულებაში ჩანართავ იდეასა და ეგუება ისტორიულად შემუშავებულს ერის პოლიტიკურ ტერმინოლოგიას.

ამ მხრივ, ჩვენის აზრით, თანასწორად მისაღებია სახელწოდება „დარბაზი“ და „საბჭო“. მართალია, დარბაზი ქართული სიტყვა არ არის, მაგრამ იგი უხსოვარ დროიდან შემოღებულია ჩვენს ლექსიკონში აღმოსავლეთის კულტურიდან, როგორც მრავლისაგან მრავალი სხვა სიტყვა, და თუ არ ლინგვისტების ცნობის მოყვარეობა, ქართველობისათვის დაუჯერებელიც იქნებოდა რომ ეს სიტყვა ნასესხებია.

ჩვენი კანონმდებლობაცა და მართვა გამგეობის მეთოდები ჩვეულ არიან საზოგადოთ ლაპსუსებს. შეცდომები შესისხლხორცებულ „აქილესის ტერფად“ გარდაექცათ სიციალისტურ მაშენებლებს. საქმე ქვეყნის გამგებლობისა ერთს რამეს კი ავალებს მპყრობელებს: განახორციელონ პარტიული ზრახვანი მანამდე, ვიდრე იგინი თვალსაჩინოდ არ ეწინააღმდეგებიან საღ აზროვნებასა და მეცნიერების ან-ბანს! გადადგან ისეთი პოლიტიკური ნაბიჯი, რაშიაც შესამჩნევად არ გამოჰკრთოდეს მესვეურთა უნიათობა და უნიჭობა...

სოციალდემოკრატიული ფრაქციის კარნახით დაკანონებული საბჭოს ახალი „სახელწოდება“, სამწუხაროდ, გვიმტკიცებს სწორედ წინაალმდეგს.

**რ. ინგილო.**

## მიჰხედეთ ჩვენ დედა-ქალაქს თბილისს!

III*)

წინა წერილებში ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ საქართველოს დედა-ქალაქის თვითმართველობა ეროვნების მიხედვით უმეტესად არაქართველურია, პოლიტიკური თვალსაზრისით ის არის მავნე და საშიშარი საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის და სამეურნეო მოქმედების მხრივ კი უილაჯო, უნუგეშო და მცხოვრებთა კეთილდღეობის დამღუპველი.

*) იხ. „საქართ.“ №№ 182 და 185.

ყველაფერ ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს.

ასი წლის პოლიტიკურმა მონობამ თბილისს თავისი ულმობელი დაღი დააჩინა.

იმ საშინელ დღიდან, როდესაც თბილისის ქუჩებზედ პირველად გაისმა რუსის „ბარაბანის" ხმა, ვიდრე რუსეთის ჯარის აქედან უკანასკნელ უკუქცევამდის, ერთი უმთავრესი განზრახვა ასულდგმულებდა რუსის პოლიტიკას.

მას უნდოდა მოესპო ქართველობა და საქართველო და მის ნანგრევებზედ აეშენებინა კავკასიის მთების გაღმა სამხრეთშიც ახალი რუსეთი, ისე, როგორც ააშენა ურალის იქით აღმოსავლეთში მეორე დიდი რუსეთი ციმბირის ქვეყნების ნანგრევებზედ.

ამ აზრის განსახორციელებლად სხვათა შორის მან მიმართა სომხის ხალხს და გამოიყენა ის, როგორც უბრალო იარაღი. ამ პოლიტიკით რუსეთი ჯერ ღუპავდა სომხეთს და მის ხალხს, რომელსაც აშორებდა მშობლიურ მიწა-წყალს, და შემდეგ კი ღუპავდა ქართველობას, რომელთა მიწა-წყალზედ ასახლებდა გადმოხვეწილ სომხებს და ჰბადებდა ამ ორ მეზობელ და ისედაც დაჩაგრულ ერებს შორის მძულვარებას და მტრობას.

ასე იქცეოდა ყველა რუსის მოხელე: ერმალოვი და პასკევიჩიც, პირველი და მეორე—ვორონცოვიც.

ერეკლე მეფის უკანასკნელ წლებში ისტორიული ცნობების მიხედვით სომხთა რიცხვი თბილისში ადიოდა ცხრა ათასს სულამდე. 1914 წელს, ესე იგი ომის დაწყებამდე კი სომხები ტფილისში ითვლებოდენ ას სამოცდა ათასამდე. ომის დროს მოემატა და აქ დაბინავდა კიდევ ორმოც ათასამდე. ასე რომ რევოლუციის დაწყების ხანაში ტფილისში ორას ათასამდე სომეხი იყო კიდეც. მათ შორის ადგილობრივ სომხები მხოლოდ ერთს მეექვსედს შეადგენდენ, დანარჩენი ხუთი მეექვსედი რუსების დროს შემოეკედლენ თბილისს.

ომის დაწყებამდის რუსების რიცხვი ადიოდა 90 ათასამდე და რევოლუციის წინ 120—130 ათასამდე.

საზოგადოთ ქართველობა თბილისში რუსების დროს დიდს უბედობას განიცდიდა. მას სდევნიდა პირდაპირ და მალულად მთავრობა, სდევნიდა ეკონომიურად ის უცხო ელემენტები, რომელიც რუსეთმა გააბატონა ქალაქის გამგეობაში. მაგრამ ქართველ ხალხს არას დროს არ დაუკარგავს იმედი და რწმენა, რომ თბილისი მუდამ მისი იყო და იქნება მისი დედა ქალაქი. აქ მალე განაახლა მან ეროვნული კულტურის ცენტრი და, მართალია, მთავრობისა და პლუტოკრატიის წრეებში ის უძლური იყო, მაგრამ ქართველობამ ძირი გაიმაგრა დემოკრატიულ წრეებში და დემოკრატიის გამარჯვება თავის გამარჯვებას დაუკავშირა.

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა და ქართველების მუდმივი დევნისა (მხოლოდ 1915—6 წელს პირველ რევოლუციის დროს თბილისიდან გადაასახლეს რვა ათასამდე ქართველი), ქართველთა რიცხვი თბილისში მაინც იზრდებოდა ბუნებრივად. თუ ერეკლე მეფის დროს 22—26 ათასამდე ითვლებოდა — 1914—15 წლებში — ავიდა ოთხმოც-ათასამდე (რევოლუციის შემდეგ კი რუსებისა და სომხების რიცხვმა იკლო და ქართველებისამ თვალსაჩინოდ იმატა, მაგრამ ამის დაწვრილებით სტატისტიკური ცნობები ჯერ არ არსებობს).

ქალაქის უკანასკნელ არჩევნებში რევოლუციის ახალი კანონის თანახმად ხმა მისცა ყველა სრულ-წლოვანმა, გადმოხვეწილი იყო ის, თუ აქაური, გზათ მიმავალი სალდათი თუ ადგილობრივი მკვიდრი.

ქართველი ხალხისათვის ეს არჩევნები ძლიერ ცუდ პირობებში იყო, ხმების დიდი უმრავლესობა—უცხო ტომებს ეკუთვნოდა და ქალაქის გამგეობაში და საბჭოში უცხო ტომის ბურჟუაზია იყო გაბატონებული.

ამნაირი მიზანი ჰქონდა საქართველოს ხალხს.

ბურჟუაზიის მაგივრად უნდა გაებატონებინა დემოკრატია და უცხოელების მაგივრად ქართველობა.

ჩვენ არას დროს არ ვყოფილვართ სოციალ-დემოკრატიის მომხრე, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ ბრძოლაში მან დიდი პოლიტიკური უნარი და მოხერხება გამოიჩინა.

ბურჟუაზიის ჩამოგდება ძნელი არ იყო, მაგრამ მან მოახერხა, რომ ამასთანავე სომხის წარმომადგენლებს ჩამოართვა მტკიცედ დამყარებული ჰეგემონია და გადასცა ქართველ ხალხის წარმომადგენლებს.

იმ დროში ეს იყო დიდი ისტორიული გამარჯვება და სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღვნიშნოთ.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნახევრად გამარჯვება, რადგანაც ქართველ სოციალ-დემოკრატიას საბჭოში გადამწყვეტი უმრავლესობა არ ჰყავდა და ხან ერთ პარტიასთან უნდა დაეჭირა ბლოკი, ხან მეორესთან, რომ თავისი გაეყვანა.

ქალაქის ახალი საბჭო პირველ ხანებში უფრო პოლიტიკური დაწესებულება იყო, ვინემ სამეურნეო და მართლაც, კავკასიის ცხოვრებაში ტფილისის საბჭომ დიდი პოლიტიკური როლი შეასრულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცენტრი ერევნის მოედნიდან სასახლეში გადავიდა, მან დაჰკარგა თავისი ძალა და გავლენაც.

ეს გავლენა კიდევ უფრო შემცირდა, როდესაც გამოცხადდა საქართველოს თავისუფლება და განახლდა სომხეთის სახელმწიფოც.

პოლიტიკური ლიდერები და ქალაქის სამეურნეო საქმეებში დახელოვნებული ხალხი ქალაქის საბჭოდან წავიდენ, ზოგი საქართველოს პარლამენტში, და ზოგიც სომხეთის ეროვნულ საბჭოში.

ქალაქი შერჩათ ხელში პოლიტიკურად ნაკლებად მომზადებულ და საქალაქო საქმეებში გამოუცდელ ხმოსნებს. ახლანდელ საბჭოს და გამგეობას რომ ძველი ხმოსნები და პოლიტიკური მოღვაწენი ელიავა, ლომთათიძე და ორიოდე სხვა გამოაკლოთ, ხელში შეგრჩებათ ისეთი ყოვლად უსუსური ხალხნი, რომ საკვირველიც არის რატომ კიდევ უფრო არ დაინგრა ამდენხანს თბილისი.

ამ მხრივ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დიდათ დაზარალდა. საუკეთესო ხმოსნები წავიდნენ და ვინც დარჩენ, ისინიც კრებებს ნაკლებათ ესწრებიან და საქმეს რაღაც უგუნებოთ ეკიდებიან.

სამაგიეროთ გამაგრდა რუსის სალდათების მიერ არჩეული სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქცია, რომელიც ძველებურადვე ცდილობს საბჭო გამოიყენოს პოლიტიკურ ასპარეზად, რომ შეებრძოლოს საქართველოს მთავრობას.

ეგრედ წოდებული კადეტები, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სომხის კონსერვატორები ესერებს ზურგს უმაგრებენ საქართველოს თავისუფლებასთან ბრძოლაში.

დაშნაკცუტიუნის ფრაქცია თავდაჭერილ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ისიც ცხადია, თუ ჩუმად ესერების მიმართულებას მხარს უჭერს.

ამნაირად ნელ-ნელ შემზადდა საქართველოს მოწინააღმდეგეთა ბლოკი და უკანასკნელი მათი გამოლაშქრება სოციალ-დემოკრატიის დამარცხებით დასრულდა.

ეს იყო ხელოვნურად გადმოსროლილი ჯოხი, რომელიც უნდა მოხვედროდა საქართველოს მთავრობას.

ქალაქის საბჭოს უმრავლესობამ მავნებლად იცნო ცალკე რაზმი, რომელიც დაარსებულია სპეკულიაციის და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაჰგმო ის, აუკრძალა ქალაქის მილიციას, რომ დახმარება აღმოუჩინოს ამ რაზმს და მით გამოუცხადა უნდობლობა არა ქალაქის გამგეობას, არამედ თვით საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელმაც რაზმის კანონი დაამტკიცა და ჩვენს მთავრობას, რომელიც ამ კანონს ასრულებს.

ასეთი თავხედური გამოსვლები ხდება თითქმის ყოველ სხდომაზედ და ალბად კიდევ არა ერთხელ განმეორდება.

საბჭოს უმრავლესობას სრულებით არ აინტერესებს, მათთვის უცხო, ქალაქის ბედი, ეკონომიური საკითხების განხილვას გაურბიან და სრულებით უგულოთ ეკიდებიან. მათ აინტერესებთ პოლიტიკური სკანდალები, რაშიც დიდ დახელოვნებას და ორატორულ ფრაზეოლოგიას იჩენენ.

ყველასათვის ცხადია, რომ ქალაქის ასე მიგდება ყოვლად შეუძლებელია.

მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს, რომ ამდენ ხანსაც ჩვენმა მთავრობამ ქალაქის საბჭოს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

მხოლოდ ჩვენისთანა მომთმენი და პოლიტიკური დარდიმანდობით გაქღენთილი ხალხი დასტოვებდა ამდენხანს დედა ქალაქს იმ პირთა ხელში, რომელთა უმეტესობა ჩვენი თავისუფლების მტრები არიან და თან ქალაქის საქმეებში ყოვლად უვარგისნი გამოდგნენ.

კმარა!

ვერავითარი ტაქტიკური მოსაზრება ვეღარ გაამართლებს მეტ დაყოვნებას.

პარლამენტმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს და დაუყოვნებლივ შეიმუშავოს ახალი კანონი, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს, როგორც თბილისში ისე საქართველოს სხვა ქალაქებშიც ახალი არჩევნები.

ჩვენ მომხრე ვართ საყოველთაო არჩევნების დემოკრატიულ წესსზედ, მაგრამ კერენსკის კანონი შეუცვლელად ჩვენი ქვეყნისთვის ყოვლად უვარგისად მიგვაჩნია.

ამ კანონის ძალით მომავალ არჩევნებში შეიძლება უცხო ელემენტების და საქართველოს მტრების წარმომადგენელნი უფრო მეტი დარჩნენ, ვინემ დღეს არიან.

თბილისის საბჭოს ვადა უთავდება პირველ იანვარს, მაგრამ საბჭომ უნდა შეადგინოს ახალი სიები, რომლისთვისაც ჯერ ხელი არ მოუკიდიათ. ამ სიების შედგენას დიდი დრო დასჭირდება, მერმე სიები უნდა გამოქვეყნდეს და ამის შემდეგ უნდა გავიდეს კიდევ ორი თვე, რომ არჩევნების დღე დაინიშნოს.

ჩვენის აზრით ახალი არჩევნები მაისამდის, რაც უნდა ეცადნენ, ვერ მოხერხდება.

ამდენხანს რომ კიდევ დარჩეს ახლანდელი საბჭო, ეს გამოუთქმელ ზიანს მოუტანს საქართველოს ინტერესებს.

აგრეთვე მავნებლად მიგვაჩნია, რომ ამავე საბჭომ შეადგინოს ახალი სიები.

ერთად-ერთი გამოსავალი და კანონიერი გზა არის:

— **რაც შეიძლება მალე, არა უგვიანეს ერთის თვისა, უნდა შემუშავდეს საქართველოს ქალაქების შესაფერი ახალი კანონი და, როგორც კი ეს კანონი პარლამენტში დამტკიცდება, თბილისის ქალაქის საბჭო დათხოვნილად უნდა გამოცხადდეს.**

ამას თხოულობს ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის რეალური ინტერესი.

ეს წარმოადგინა თვით ცხოვრების აუცილებლობამ დღიურ წესრიგში.

ამასვე გვევედრება, ასი წლის ტყვეობაში მყოფი, ჩვენი მრავალ-ტანჯული დედა-ქალაქი.

პართენ გოთუა.

## ჯარის ორგანიზაცია

ახალი კატასტროფის წინ სირაქლემებმა სილაში დამალული თავი ამოიღეს. პრესაში ისევ შეიქმნა ლაპარაკი ქართული ჯარის მოწყობაზე, თუმცა ოფიციალურად მობილიზაცია 10 სექტემბრიდან არი გამოცხადებული. აქამდის არავის უკითხავს, როგორ მიდის საქმე, მხოლოდ ხანდისხან მთავრობის ოფიციოზში იბეჭდებოდა ახალგაზრდა რეკრუტების დეპეშები, უმთავრესად მთავრობის რომელიმე აგენტის მიერ შედგენილი: იწერებოდენ, მზათ არიან ემსახურონ რესპუბლიკას და რამდენიმე დღის შემდეგ პატრიოტები არხეინად ბრუნდებოდენ სახლში, თუმცა იმასაც ამბობდენ და სწერდნენ, რომ მთავრობას ისე აქვს დაყენებული საქმე, რომ რეკრუტები დღეობით რჩებოდენ მშივრები და მოკლებული საჭირო მოპყრობას. ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ამ დროს ისე დოქტრინერობდა და პარტიულ კრებაზე დიდ მოხსენებაში ამტკიცებდა სახალხო მილიციის უპირატესობას, თითქო სამუდამოდ დავიწყებოდა ის დრო, როცა შეშფოთებული თვითონ გარბოდა გურიაში თოფით და თავის თვალით ჰხედავდა დამარცხების სიმწვავეს, ამავე დროს ხდებოდა რბევა და ძარცვა სამხედრო საწყობების; სპეკულიანტები ჰყიდიდნენ მომავალ ჯარის ქონებას: ნარმის-საცვლებამდე გათავებულს, რესპუბლიკაში დაძრწოდნენ ოსმალეთის ჯაშუშები ყველაფრის ასათვალავათ, გათამამებული მძარცველი ბრბო თავს ესხმოდა ჩვენ საზღვრებს და უმაგალითო კადნიერებით აწიოკებდა გამწარებულ ხალხს.

ჩვენ კი გვეგონა, რომ სასწაული მოხდა; ხალხი, რომელმაც სისტემად გაიხადა პატრიოტებთან ბრძოლა ბოლოს მიხვდა თავის სირცხვილს და მოჰხდა განათება ახალი შეგნების; ეს მაშინ იყო, როცა ჯავახეთი მტერმა დაიპყრო და რუხმა ანონიმებმაც „ერთობიდან" მონახეს სიტყვები, რომელნიც ცრემლებამდის სწყდებოდა სულს, დასტიროდნენ დაღუპულ ქვეყანას და ამზადებდნენ რევანშს, რევანშიც ავადმყოფ გრძნობიდან იბადება სწორედ პატრიოტიზმში, რაც ფრანგებმა დაამტკიცეს. კიდეც, პატრიოტიზმი არ არის, თუ არ არი დაგუბული გრძნობა წყენის და იმდენი, ვისთვის უწყენიათ, რამდენიც ქართველებისათვის.

ჩვენ თანამედროვეებში მოხდა წრის მობრუნება. წარსულის ლეგენდები რა მოსაგონია, უფრო ახლო დროის სტრატეგიაში პრიზად ითვლება ქართველი გენერლებისგან ყარსის და ერევნის აღება და უკულმა რეკორდია ბათომის დაცემის სირცხვილი, და ამ სირცხვილის მონაწილეა ყველა ქართველი. მაშინ ბევრს სწერდენ ხულიგან-ჯარის კაცებზე და გამოქცეულ გვარდიელებზე, თავისიანები უფრო; მე მგონია ქართველი ოფიცრობა დაზოგეს მაშინ, არავის არ გამოუჩენია უკანასკნელი თავგანწირვა, თუმცა ეს ბევრს მოეთხოვებოდა.

საქართველოში ყოველი სიტყვა უნდა იყოს მიმართული შეიარაღებისკენ, ვინც იყო ფრონტზე და ხედავდა ჩვენ მეზობლებს იმან იცის რომ ზედმეტია ყოველი ანალოგია მაკედონიისაც კი; ბევრი დრო წავა სანამ იდეები გაანათებენ მონგოლურ თავებს და ისინი ძარცვას გადაეჩვევიან, მანამდის ყველაფერი იარაღით გადაწყდება, შეუძლებელია უყურებდეს სომხების სისხლიდან დაცლას ხალხი, რომელიც მალე თვითონ დადგება „საბედისწერო რიგში" და არ ემზადებოდეს, მეტად უფრო, რომ აღმოსავლეთში ამოძრავდნენ ახალი ლაშქრები და ემზადებიან უფრო სასტიკ ომისთვის, მათი სვლის გზა იქნება მოსპობა იმისთვის ვინც თვითონ არ იცის, ან არ უნდა ბრძოლა, უფრო ახლო საქართველოსთან იწყებს გამრთელებას რუსეთის იმპერია, მისი ნაწამები სულის დაგუბებული შურისძიება სასტიკი იქნება.

საქართველო ისევ გარემოცულია.

საქართველო მუდამ გარემოცული იქნება, ყველაზე ბოლოს და ყველაზე ნაკლებათ ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ, რომ ზავი მალე იქნება. ჩვენ ვერასოდეს ვერ მოგვასვენებს ჩვენი ირენდენტა ბათომი და ჯავახეთი, ეს სამუდამო ძახილია შეიარაღებისაკენ.

გენერალი მაზნიაშვილის ექსპედიცია შავი ზღვის სანაპიროებისკენ, რომელიც უმთავრესად თავგამეტებულ ახალგაზრდა პატრიოტებისგან შესდგება, აიმედებს მომავალს, რომ საქართველოში არ ჩაკვდება მილიტარული სული.

რესპუბლიკის მთავრობამ მერყეობას თავი უნდა დაანებოს, მან უნდა შეჰქმნას დისციპლინიანი ჯარი, ანდა დაიღუპოს...

ტ. ტაბიძე.

## პრესსა

**„ზნამია ნაროდა" მთავრობის წინააღმდეგ.**

მკითხველებმა უწყიან, რომ თბილისის თვითმართველობის უკანასკნელს სხდომაზედ სოციალისტ-რევოლუციონერებისა, დაშნაკცაკანებისა და სომხის სახალხო პარტიების ხნეჭით გავიდა დადგენილება, რომლის ძალით საქალაქო მილიციას აეკრძალება „განსაკუთრებულ რაზმს" რაიმე დახმარება აღმოუჩინოს მის მოქმედებაში სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლუციურ გამოსვლათა წინააღმდეგ.

ეს დადგენილება, თავის თავად ცხადია, გადაკვრით მიმართულია ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც „განსაკუთრებულ რაზმის" შედგენის კანონი ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო დადასტურებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

აშკარაა, რომ მთავრობისა და ქალაქის თვითმართველობის შორის კოლლიზია მოხდება, რადგანაც ვფიქრობთ, რომ მთავრობა არ შეურიგდება თვითმართველობის ბუნტარულ ტაქტიკას.

თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ სპეკულიანტებისა და შტატის გარეშე დატოვებულ „ჩინოვნიკების" იდეოლოგი „ზნამია ნაროდა" მეამბოხეთა რიგში მოჰყვებოდა. ასეც მოხდა: გაზეთი მოითხოვს, რომ თვითმართველობის დადგენილება სისრულეში მოყვანილ იქნეს, რადგანაც:

„საქალაქო თვითმართველობა— ეს ერთად ერთი ორგანოა საქართველოს ტერიტორიაზე, არჩეული საყოველთაო საარჩევნო უფლებით და მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად სინამდვილით გამოჰხატავს მცხოვრებთა ინტერესებს. სრულებით არ ითქმის ესევე მთავრობაზე, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ საბჭოს, თავად შედგენილს სრულიად ხელოვნურად, პარტიათა თანხმობით"...

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაფრთხილებთ მთავრობას, რომ ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრას იმას, რაც ამ ჟამად თბილისში ხდება. არსებულს თბილისის თვითმართველობას ჩვენა ვთვლით ანახრონიულ დაწესებულებად და მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ დაშლას. ეს ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომლის გარშემო თავს იყრიან საქართველოს დაუძინებელი მტრები, მათ შორის „ზნამია ნაროდა"-ს სულის ჩამდგმელებიც.

## საპარლამენტო ქრონიკა

**მაჰმადიანთა წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში.**

საქართველოს მაჰმადიანთაგან საქართველოს პარლამენტში არჩეულ იქმნენ: აბდურრაგიმ-ბეგ ახვერდოვი, ალი-ჰაიდარ ყარაევი, ბარიფოვი და ჰუსეინ ჰასან-ზადე.

# საქართველოს პარლამენტში

## წერილები პარლამენტიდან

IV

სოციალ-დემოკრატებმა ბრწყინვალე რევანში მისცეს საბჭოს ფრაქციებს!

მათი წარსული დამარცხებანი სავსებით ანაზღაურებულნი არიან!

ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ერ.-დემოკრატებისა, დამოუკიდებელ ნაციონალისტთა, რადიკალ-დემოკრატთა, ფედერალისტთა, ესერთა, „ალიონელთა", უპარტიოთა ე. ი. ყველა სხვათა წინააღმდეგ ჩვენმა მენშევიკებმა ახალ მოკავშირე სომხებთან ერთად საქართველოს პარლამენტს დაუმტკიცეს სახელად:

„საქართველოს პარლამენტი".

და ამით, რასაკვირველია, დაამტკიცეს ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი არის მხოლოდ სოციალ-დემოკრატია.

საბჭოს სხდომის გახსნისას, ეტყობოდა უკვე, რომ მარცხენა სექტორში ყველა ძალთა მობილიზაცია მომხდარა.

მენშევიკთა სკამებზედ, ჩვეულების წინააღმდეგ, აღარ სჩანდა არც ერთი თავისუფალი ადგილი და მათი ადგილები გვერდით და უკან საკმაოთ გამაგრებულიყვნენ სომხეთა დეპუტატების წყებით.

ისინი, სჩანს, უკვე შევიდენ თავის როლში და ამიერიდან მარცხენა სექტორის ანსამბლს ალბად აღარავინ დაარღვევს.

დღემდე ჩვენს პარლამენტს თავისი სახელი ჰქონდა:

საქართველოს ეროვნული საბჭო.

დღეიდან მას არაფერი არ ჰქვია, რადგან ის სახელი, რომელიც მას დაუმტკიცეს, არაფრის არ დარქმევას ნიშნავს.

რა უყოთ, რომ მთელ დედამიწაზე ესეთი მაგალითი არ ყოფილა და ყოველ პარლამენტს ყველგან თავისი სახელი ჰქვია:

ალ. ლომთათიძემ პირდაპირ სთქვა: ქვეყანაზედ არ იქნება ისეთი პარლამენტი, რომ „საქართველოს პარლამენტი" ერქვასო".

და ეს საუკეთესო დამტკიცებაა!

ბატონ ჩხეიძეს იმერულად უოხუნჯია.

თუ ჩვენში კაცს სახელად კაცის არქმევენ, რატომ პარლამენტს—პარლამენტი არ დაერქმევაო.

მაგრამ ფუთელ ენა-მჭევრს ზესტაფონელმა საყვარელიძემ აჯობა:

განა კაცია კარგი სახელიაო?

და მთელი სხდომა, თითქმის, ამ იმერულ ენა-მახვილობამ წაიღო.

დისსონანსი მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა შეიტანა.

მისი დაცვა, უთუოდ, გადმოცემაში დაჰკარგავს იმ ერს, რომელიც ტრიბუნაზედ მიიღო.

როდესაც ის თავის ამაღლებულ ადგილიდან დაიძრა, თავისებური მოხრილი სიარულით, მე მესმოდა ხმები:

ეხლა საკითხი უთუოდ გადიჭრებაო.

ესე ფიქრობდა ყველა, ვისაც პატივი და მოკრძალება აქვს ბებერი ისტორიის და მუდამ ცოცხალი ტრადიციის.

და ჩვენი მცხოვანი ისტორიკოსიც, ძველი დარბაისელი ენით შეუდგა ახალი ლინგვისტების წინაშე ძველი ქართულის გამართლებას.

ყველა გრძნობადა, უთუოდ, თუ რა მძიმე იყო მისთვის ეროვნულ საბჭოში გამართული კამათი და ამ სიმძიმემ მაინც დასძრა იგი თავის ადგილიდან.

მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი დამარცხდა, ისევე როგორც მასთან ერთად დამარცხდა ცოდნაც და ისტორიაც.

გაიმარჯვა მხოლოდ ალ. ლომთათიძემ, და ისტორიული რეკორდი აიღო!

დარბაზში ცხენი შეიყვანა!

თუმც ამაში საკ[illegible] [illegible]ბაზიც დაეხმარა [illegible] ფრის ამტანი არის!

როგორ გაიკვირებენ ალბათ სამარეში მყოფნი „დარბაზს მქონებელნი ადგილთა", როდესაც ახალმა „დარბაისელმა" მათ დარბაზს საჯინიბო უწოდა!

მაგრამ ეს დამარცხება არც ექვთიმე თაყაიშვილისთვის და არც სხვა ფრაქციებისთვის საწყენი არ უნდა იყოს, რადგან მათ უნდა დარწმუნდენ მხოლოდ ვოლტერის სიტყვის სიმართლეში:

„ერთს ჰქვიანს კენჭის ყრაში ორი სულელი სჯობია".

ლ. ჯ—ძე.

—

**4 დეკემბრისთვის სხდომა**

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

## რა სახელი უნდა დაერქვას საქართველოს პარლამენტს?

წარსულ სხდომაზედ მიღებულ კანონ-პროექტთა სარედაქციო კითხვის შემდეგ, ეროვნული საბჭო გადადის საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტის განხილვაზედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შესახებ. კომისიის მხრით მომხსენებელია პავლე საყვარელიძე (ალიონელი).

### პავ. საყვარელიძის სიტყვა

**საკონსტიტუციო კომისიის წინადადება**

საკონსტიტუციო კომისია წინადადებით შემოდის ეროვნულ საბჭოში, რათა შეცვლილ იქმნეს ჩვენი პარლამენტის სახელი. ამ საკითხს, მართალია დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც საჭიროა მისი ყურადღებით განხილვა.

**„რესპუბლიკის დარბაზი", თუ „საქართველოს პარლამენტი"?**

საკონსტიტუციო კომისიაში იყო მრავალი წინადადება, სხვათა შორის სოც.-დემ. ფრაქციამ შემოიტანა წინადადება, რომ ეროვნულ საბჭოსათვის სახელად პარლამენტი დაგვერქმია. საკონსტიტუციო კომისიამ უარჰყო ეს წინადადება და ერთხმად შეჩერდა „რესპუბლიკის დარბაზზე".

მთელს დედამიწის ზურგზედ, სადაც კი დემოკრატიული წყობილება და პარლამენტარიზმია დამყარებული, პარლამენტი ჰქვია ყველგან საკანონმდებლო დაწესებულებათ და ჩვენის მხრით პარლამენტის დარქმევა ნიშნავდა არაფრის დარქმევას.

მთელს დედამიწის ზურგზედ ვერ ნახავთ პარლამენტს, რომელსაც თავისი საკუთარი სახელი არ ერქვას.

მაგალითად გერმანეთის პარლამენტს ჰქვია რეიხსტაგი საფრანგეთის chambre des deputaits, ავსტრიისას რიხსტრატი და სხვა.

მაგალითად შვეიცარიაში ორივე საკანონმდებლო ორგანო რომ შეაერთოთ, გამოვა პარლამენტი.

ასეა ყველგან და საქართველო რად უნდა იყოს გამოყოფილი და აქ დაერქვას ის, რაც არსად არ ჰქვია.

არ შეიძლება ძველი სახელის დატოვება, რადგან ჩვენი საბჭო აღარ არის მარტო ქართული, არამედ აქ არის წარმომადგენლობა სხვა ერთა და მის სახელწოდებაშიც ეროვნული ელემენტი უნდა მოხსნილ იქმნას.

კომისიამ ერთხმად დარბაზი მოიწონა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზოგიერთი ფრაქციები ამ სახელის წინააღმდეგია, მაგრამ კომისიაში ყველა ფრაქციათა წარმომადგენელთა მიერ იგი ერთხმად იყო მიღებული.

**დარბაზი—პალატა—საბჭო**

ზოგიერთნი იცავენ „საქართველოს პალატას". და არიან მომხრენი „რესპუბლიკის საბჭოს"-იც. მე როგორც კომისიის წარმომადგენელი ვიცავ დარბაზს.

არის სამი წინადადება, რომელიც სხვებზედ უფრო მისაღებია:

დარბაზი, პალატა, საბჭო.

დარბაზი იგივე პალატაა:

დარბაზი ნიშნავს დიდს ოთახს პალატაც იგივე მნებას შეიცავს.

საბჭო, ბატონებო, დღეს აურაცხელ დაწესებულებათ ქვია: მუშათა საბჭო სასურსათო საბჭო, ქალაქის საბჭო და სხვა. შემცდარი არ ვიქნებით, რომ ვსთქვათ, დღეს სალამოს ქალაქში 10 საბჭოს კრება მაინც შესდგება. პარლამენტის სახელი კი უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა სხვა დაწესებულებათა სახელს ფარავდეს.

დარბაზი, ჩვენი ისტორიკოსების და მცოდნე პირთა ცოდნით ძველი სახელია და ამის მნებას გამოხატავდა ძველად. ამ სახელში არის სახელმწიფოებრიობის მნება,

ამასთან იგი განსხვავებულია სხვა პარლამენტის სახელებისაგან და შნოიანიც არის.

**ნოე ჟორდანია და პარლამენტარიზმი**

შეიძლება, ბატონებო, მომავალში ჩვენ პარლამენტარიზმი უარვყოთ. შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტმა ნოე ჟორდანიამ ამას წინეთ სახალხო სახლში მოხსენება წაიკითხა საქართველოს სახელმწიფოს შესახებ და სთქვა რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს პარლამენტარიზმი არ ეგუებაო. შეიძლება მომავალში ეს ასე იყოს, მაგრამ მარტო სახელით არ შეიძლება დამტკიცება ამ პარლამენტარიზმის.

**„დარბაზი“ უცხო სიტყვაათ**

„დარბაზის“ მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ეს სიტყვა უცხოაო, მაგრამ განა პარლამენტი ქართულია?

ეს სიტყვა მართალია სპარსეთიდან არის შემოსული, მაგრამ სავსებით გადმოქართულებულია ისე, როგორც მრავალი სხვა სიტყვა ქართულ ლექსიკონში შესული.

ზოგიერთი ამბობს, როგორ შეიძლება დარბაზი დავარქვათ, როდესაც ეს სახელი ოთახს ნიშნავს.

საფრანგეთის პარლამენტს ჰქვია chambre des deputaite და სიტყვა chamre ნიშნავს სწორედ ოთახს და ეს სახელი პარლამენტს სრულებით არ ეუცხოვება.

**„დარბაზს“ მონარქიზმის სუნი უდის.**

სოციალისტ-ფედერალისტებისაგან გავიგეთ, რომ დარბაზს თურმე მონარქიზმის სუნი უდის; და ეს სუნი იქიდან წარმომდგარა, რომ ძველად დარბაზი მეფეების დროს ყოფილა. საქმე ის კი არ არის, რა დროს ყოფილა ეს სახელი, საქმე იმაშია, ეხლა არა უდგათ ესეთი სული ამ დაწესებულებას, თორემ ძველი დროის ამბავს მნიშვნელობა არ აქვს.

პირიქით არიან ისეთი საკითხები, როგორიც აი ეს საკითხია, სადაც ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**„დარბაზი“ პოპულიალური არ არის.**

„პარლამენტის“ მომხრენი ამბობენ, რომ დარბაზი ხალხში პოპულიალური არ არის. ბატონებო! „პარლამენტი“ პოპულიალურია ხალხში? ჩვენში ყველამ იცის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „დარბაზი“ და რა მნიშვნელობა ექნება მას, როგორც საკანონმდებლო დაწესებულებას, ჩვენ ავუხსნით.

**ინტერნაციონალური სახელი.**

პარლამენტის მომხრენი ამბობენ აგრეთვე, რომ სახელი უსათუოთ ინტერნაციონალური უნდა იყოსო.

ჩვენ ინტერნაციონალიზმი სხვანაირად გვესმის!

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ჩვენი ეროვნული განსხვავებაც უნდა გვქონდეს.

**რაც გინდათ დაარქვით, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთ.**

როგორც კომისიის წევრი, მე ვიცავ დარბაზს, მაგრამ როგორც საბჭოს წევრი, ვამბობ, რომ დაარქვით, რაც გსურდეთ: საბჭო, პალატა, ან სხვა რაიმე, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთ. ამის დარქმევას სრულებით რომ არასფერი დაარქვათ, ისა სჯობია (ტაში მარჯვნივ და ცენტრში „ალიონელთა“ სკამებზე).

## სოც.-დ. ალ. ლომთათიძის სიტყვა

მე მეგონა, რომ ეს საკითხი დიდ კამათს აქ არ გამოიწვევდა, მაგრამ მომხსენებელის შემდეგ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა: რაც მეტი ამტკიცა ბ-ნმა პავლე საყვარელიძემ „დარბაზის“ უპირატესობა, მით უფრო დაამტკიცა, რომ ეს სახელი ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს არ შეეფერება.

სანაძლეოს დავდებ, თუ ასში ორმა კაცმა იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ჩვენ უნდა დავდგეთ პრაქტიკულ ნიადაგზედ და ის სახელწოდება უნდა მივიღოთ, რომელიც ხალხისთვის გასაგები იქნება.

**დარბაზი დიდი თავლაა, სადაც ცხენები აბია**

ბ-ნმა მომხსენებელმა მრძანა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს, რომელსაც პარლამენტისთვის თავისი ეროვნული სახელი არ დაერქვასო— მე მგონია ეს მოსაზრება სრულებით მხედველობაში მისაღები არ არის.

პარლამენტი ესმის ჩვენ ხალხს, ხოლო დარბაზი კი ყველამ იცის, რომ არის დიდი თავლა, სადაც ცხენები აბია (ხანგრძლივი სიცილი, თითქმის ყველა სკამებზედ გარდა ზოგიერთ ს.-დემოკრატებისა) დეე ნუ გაიგებს ამას ისე, თითქოს თავლა იყოს, დეე ოთახად გაიგოს და მერე რა მიზანს მიაღწევთ? **პარლამენტის დარქმევა პარლამენტარიზმის განმტკიცება იქნება.** პარლამენტის დარქმევა—პარლამენტარიზმის ჩანერგვა იქნება ხალხის გულში და ეს მოსაზრება კიდევაც მოგახსენეთ კომისიაში, როდესაც სოც.-დემ. ფრაქციის წინადადება შემოვიდა ჩვენ ამ წყობილების დამყარებისათვის დიდი ბრძოლა დაგვჭირდა და ის ღრმად უნდა აღიბეჭდოს ხალხის გულში.

**„საქართველოს პარლამენტი“ მხოლოდ ერთი იქნება ქვეყანაზედ**

„დარბაზის“ სახელმწიფოებრიობის მცნება გამოიხატება იმაში, რომ მეფობის დროის ნაშთია და განა ეს არის უპირატესობა? „საქართველოს პარლამენტი“, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არცერთი ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებას არ ერქმევა და ამით მივაღწევთ იმ სახელის განსხვავებასაც, რომელიც ბ-ნ საყვარელიძეს ასე აწუხებს.

**წინადადება**

ლაპარაკი ამის შესახებ ზედმეტია. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით შემომაქვს წინადადება, რომ საკონსტიტუციო პროექტი უარყოფილ იქმნას და ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას სახელათ დაერქვას „საქართველოს პარლამენტი“.

## ი. ჩერქეზიშვილი (ს. რ.)

**იმერული ჩვეულება**

სიტყვა პარლამენტი ზოგადი ხასიათისაა და ამ საკითხში ჩვენ ვეთანხმებით მომხსენებელს, რომ მას საკუთარი სახელი უნდა ერქვას. იმერეთში გამიგონია, რომ ბავშვს ლამაზი სახელის დარქმევით „პაროვოზ“-ს, ან სხვა რაიმე ასეთს არქმევდენ და ესეთი რამე, რასაკვირველია, ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს არ შეეფერება.

**პარლამენტის სახელწოდების საკითხი დამფუძნებელი კრების საქმეა**

ჩვენ სხვა წინადადება გვსურს შემოვიტანოთ: პარლამენტისთვის სახელის დარქმევა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს—დამფუძნებელი კრების საქმეა და მის მოწვევამდე დავტოვოთ ძველი სახელი. ამ ცოტა ხანში იმდენი ცვლილებანი მოხდა ჩვენს უმაღლეს ორგანოებში, რომ ხალხს აერევა ყველაფერი. დავტოვოთ ძველი სახელი, ხოლო ამოვიღოთ სიტყვა ეროვნული, რომელიც მას შემდეგ, რაც აქ სხვა ერთა წარმომადგენელნი შემოვიდნენ მას აღარ შეეფერება და მის მაგივრად შევიტანოთ სიტყვა სახალხო. ამრიგათ გამოვა: „საქართველოს სახალხო საბჭო“.

## შალვა მიქელაძე (ს.-ფ.)

ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა ორივე წინადადების წინააღმდეგია, როგორც „დარბაზის“, ისე „პარლამენტის“! ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სიტყვას „საბჭოს“ იმდენათ აქვს მოპოებული უფლება რომ იგი უსათუოდ უნდა დარჩეს და ამის და მიხედვით შემოგვაქვს წინადადება ეროვნულ საბჭოს სახელი „რესპუბლიკის საბჭოთ“ შეიცვალოს. ამ საკითხში ფრაქციის წევრთ სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული.

## რევაზ გაბაშვილის სიტყვა

**ცხენებს დარბაზში არავინ არ აბამს.**

მე არ გამოვდივარ ფრაქციის სახელით. პავლე საყვარელიძემ სავსებით დაასაბუთა „დარბაზის“ უპირატესობა და სრულიად გაუგებარია რატომ სურს სოც.-დემ. ფრაქციას თავზედ მოგვახვიოს თავისი აზრი.

საქართველოში 100-ში ორ კაცს ვერ ნახავთ ისეთს, რომელმაც არამც თუ იცოდეს, არამედ არ იცოდეს, თუ რას ნიშნავს სიტყვა დარბაზი.

ყველამ კარგათ იცის, რომ დარბაზში ცხენებს არავინ აბამს.

**ალ. ლომთათიძე:** (ადგილიდან) ქართლში არ ამბობენ?

**რ. გაბაშვილი.** ქართლის ამბავი მე თქვენზედ უკეთ ვიცი და არასოდეს არავის უფიქრია, რომ იქ ცხენების დაბმა შეიძლებოდეს. პირიქით ყველას აქვს წარმოდგენილი, როგორც წარჩინებული ბინა.

**სოციალ-დემოკრატები არ იცნობენ ხალხს.**

ბ-ნი ლომთათიძე ბრძანებს, რომ პარლამენტი პოპულიარულია ხალხში. ბ-ნო ალექსანდრე! პოპულარული ის კი არ არის რასაც მე და თქვენ გავიგებთ, არამედ ის, რასაც სწორეთ popue-ი გაიგებს და იმას კი ეგ თქვენი პარლამენტი არ ესმის.

მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენი სოც.-დემოკრატიის ლიდერები ასე კარგათ იცნობენ ჩვენს ხალხს (სიცილი მარცხნით და ცენტრში).

**დარბაზი მეფეებისაგან არის შემოღებულიო.**

დარბაზი მეფეებისაგან არის შემოღებულიო—თქვენ რასაკვირველია ასე აუხსნით ამ ხალხს და მისთვის პოპულარული აღარ იქნება. მაგრამ ისიც აუხსენით, რომ პარლამენტიც მეფის დროს არის შემოღებული.

**„ს ა ბ ჭ ო“.**

ესერები და ფედერალისტები საბჭოს უპირატესობას სცნობენ. აქ ჩამოთვალეს მრავალი საბჭოები: მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა—ეს სახელები თქვენთვის, რასაკვირველია ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ გაიხსენეთ ისიც რომ არსებობს საკათალიკოსო საბჭოც, სამიტროპოლიტო საბჭო და ამასთან ხომ დაკავშირებულია მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების სახელებიც და შეიძლება ამის გახსენებამ ცოტა გული იქით მიგიბრუნოთ (საერთო სიცილი).

**დარბაისელნი.**

„დარბაზს“ აქვს ერთი საყურადღებო მხარე, რომელიც მეცმაფიქრებს: დარბაზის წევრებს-სახელათ დარბაისელნი ერქვათ და ესევე იქნება ალბათ ჩვენშიც და რამდენათ შეეფერება ეს ზოგიერთი ჩვენი პარლამენტის წევრებს თქვენ თითონ განსაჯეთ. (სიცილი, ტაში).

## თავმჯდომარის შენიშვნა

**თავმჯდომარე:** საბჭოს წევრო გაბაშვილო! როდესაც ეროვნულ საბჭოს წევრთა შესახებ ლაპარაკობთ, გთხოვთ შეუფერებლად არ მოიხსენიოთ ისინი.

## ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვა.

ტრიბუნაზედ ადის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი (ნ.-დ):

**ძნელათ თუ ვისმეს უყვარს უცხო სიტყვების ხმარება ისე, როგორც ქართველებს**

ძნელათ თუ მოიპოვება ერი, რომელსაც ისე უყვარდეს უცხო ენა, როგორც ეს ჩვენ გვიყვარს.

ეს სენი ისტორიულია, მაგრამ ეხლა იგი უფრო გვემჩნევა. ამ ერთს საუკუნეში ქართული ლექსიკონი ძალიზედ შეიცვალა. ისტორიკოსი უწინაც აღნიშვდა, რომ ქართული ენა უცხოთ მორთული“ არისო. ესე იგი უცხო სიტყვებით შერთული, მაგრამ დღევანდელ ისტორიკოს ამის თქმა მეტის უფლებით შეუძლია.

მას შემდეგ რაც ქართველი მეფეები სპარსეთში აღიზარდნენ, განსაკუთრებით როსტომ მეფე, მრავალი სახელები სპარსულით შესცვალეს. რომ არ შერჩენოდა „კარის გარიგება“, მრავალი ქართული სახელი ჩვენთვის სრულებით დაკარგული იქნებოდა.

ეხლა როდესაც საქართველოში ევროპის კულტურა შემოვიდა, ჩვენი ლექსიკონის არევას, რასაკვირველია, უფრო აქვს ადგილი. თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, თავი უნდა დაანებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს.

**დარბაზის მნიშვნელობა**

მომხსენებელმა მართალი მოგახსენათ, რომ სიტყვა დარბაზი სპარსულიდან არის გადმოქართულებული, მაგრამ იგი სავსებით არის შესული ქართულ ხმარებაში. დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს. არის აგრეთვე გლეხთა დარბაზი ე. ი. ყველაზედ დიდი ოთახი გლეხის ოჯახში, სადაც იგი იღებს სტუმრებს, თითონ და მისი ოჯახი იმყოფება მაგრამ ეს გლეხთა დარბაზი უკვე გამოდის ხმარებიდან.

დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს, მაგრამ თუ ამ სახელს მიიღებთ, მაშინ უნდა მიიღოთ სიტყვა სეფე-დარბაზი ესე იგი სასახლის დარბაზი.

რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სეფესა შენსა დარბაზსა“ სიტყვა სეფეც გადმოქართულებულია, მაგრამ სავსებით შესულია ხმარებაში დ თუ მიიღებთ იცოდეთ რომ ეს ნამდვილი ქართული სახელი იქნება.

ეს, რასაკვირველია, არც ცხენის სადგომია და ამ რიგად მას არც დასავლეთსა და არც აღმოსავლეთ საქართველოში არავინ არ იცნობს.

სიტყვა პალატა იგივე ბუნებაა—დიდი ოთახი, ეს სიტყვაა დასავლეთის და დარბაზი აღმოსავლეთის.

**ს ა ბ ჭ ო.**

ყველაზედ უკეთესი და შესაფერი, ჩემის აზრით იქნება საბჭო. ეს ნამდვილი ქართული სიტყვაა, ნათქვამია: „დავსხდეთ და მოვიხმოთ ბჭენიო“. ბჭენი ნიშნავენ მსაჯულებს, რომელთაც განსაკუთრებულ იხმობდენ—სამართლის აღსასრულებელათ საბჭოს წინ უნდა დაერთვას არა ნაციონალური, არამედ რესპუბლიკის საბჭო და მე მგონია, რომ უკეთეს სიტყვას ნამდვილს ქართულს ვერავინ მოიგონებს.

## წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ

შემოდის წინადადება, რომ კამათი შეწყვეტილ იქმნეს. თავმჯდომარე კენჭს უყრის ამ წინადადებას, რაიც ერთხმად იქმნა მიღებული. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

## პავლე საყვარელიძე

მე მაკვირვებს ალ. ლომთათიძე. აქ სრულებით საჭირო არ არის დემაგოგიურ ნიადაგზედ კამათი.

**ალ. ლომთათიძე** (ადგილიდან): სად არის დემაგოგია?

**პავლე საყვარელიძე:** ძნელია დამტკიცება იმისა, თუ რომელი სახელი უფრო პოპულიარული არის ხალხში: დარბაზი თუ პარლამენტი.

რაზედ მაწერთ იმას რაც მე არ მი თქვამს; პარლამენტს მე როგორ ვებრძვი. ჩვენი საბჭოს თავმჯდომარეს უმახვილია: პარლამენტს დავარქვათ პარლამენტიო; მაგალითად იმერეთში კაცს უძახიან კაციას, ან ბიჭიასო.

მაგრამ ბატონებო კაცია, ან ბიჭია კარგი სახელებია?

დარბაზი გამოხატულებაა თაღის, წარმოსადგენის და მასიან არის ყველა ქვეყნების საკანონმდებლო დაწესებულებებთან განსხვავებული.

მართალია ეს საკითხი ძალიან ცუდი ბედის მარგუნებელია, რაიც დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელი მხარს უჭერს ამ წინადადებას, მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ერთი ფრაქცია ძალას არ დაატანს საბჭოს უსათუდ მისი წინადადება მიიღოს.

## კენჭის ყრა

თავმჯდომარე კენჭის საყრელად სვამს ოთხ წინადადებას.

1) საკონსტიტუციო კომისიისას, რომ პარლამენტს დაერქვას „რესპუბლიკის დარბაზი“.

2) სოც.-დემოკრატიულ ფრაქციისას: „საქართველოს პარლამენტი“.

3) სოც.-რევოლუციონერთა, „საქართველოს სახალხო საბჭო“.

4) სოც.-ფედერალისტთა: „რესპუბლიკის საბჭო“.

პირველმა წინადადებამ საკონსტიტუციო კომისიისა ხმა მისცეს 29 მომხრემ და 39 წინააღმდეგ. წინადადებას მიემხრნენ: ეროვნულ-დემოკრატები, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები, სოც.-ფედ. უპარტიონი რად. დემ. და „ალიონი“. წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც.-დემ. ერთხმად და სომხებმა ერთხმად. ესერებმა თავი შეიკავეს.

მეორე წინადადებამ სოც.-დემ. მიილო 40 მომხრე 30 წინააღმდეგ. ამ წინადადებას მიემხრნენ მხოლოდ სოც.-დემოკრატები სომხებთან ერთად.

სოც.-ფედერალისტთა წინადადებამ მხოლოდ 5 ესერის ხმა.

ამ რიგად გავიდა სოც.-დემ. წინადადება და საქართველოს პარლამენტს სახელად **„საქართველოს პარლამენტი დაერქვა“.**

ამის შემდეგ ი. ბარათაშვილის მოხსენებით, უკამათოთ იქმნა მიღებული კანონპროექტი 1909 წ. 18-ს კანონით დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ დღეს, ღვინობისთვის 6-ს, ნაშუადღევის 1-ელ საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში, საქართველოს განსვენებულის კათალიკოზ-პატრიარქის, კირიონ მე-II-ის სახელის პატივსაცემად, უნდა მოხდეს **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება, რომელიც იყო დანიშნული ენკენისთვის 29-სათვის. მაგრამ დამსწრე წევრთა სიმცირის გამო გადადებულ იქნა. წაიკითხავენ მოხსენებებს; 1) მ. გ. ჯანაშვილი—„მისი უწმიდესობა კირიონი, და 2) ლ. მელიქსეტ-ბეგ—„კირიონი რუსულ ისტორიოგრაფიის ასპარეზზე“.

კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრხენ.

◆ **ნოე ლეჟავას დატუსაღება ონში.** ონიდან სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბს ატყობინებენ, რომ იქ დაუტუსაღებიათ ბოლშევიკურ ბრბოების მეთაური ნოე ლეჟავა.

◆ **ხიდის დაწვა მცხეთასთან.** მცხეთიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ღვინობისთვის 4-ს, საღამოს 10 ს., გამოურკვეველ მიზეზების გამო დაიწვა მცხეთიდან მე-27 ვერსზე ხიდი 1-ნახევარ საჟენის სიგრძისა. მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილა.

◆ ბორჯომიდან დაბრუნდა და მიწად-მოქმედების მინისტრს შესაფერი მოხსენება წარუდგინა ბორჯომის სახელმწიფო ქონების სამმართველოსა და მუშათა შორის მომხდარ უთანხმოების გამოსაძიებლად გაგზავნილი გოლდმანი.

◆ **პარტიული ცხოვრება.** დღეს, 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე დანიშნულია ერ.-დემ. პარტიის მთავარ კომიტეტის კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **ქართული იურიდიული საზოგადოება.** ქართულ იურიდიულ საზოგადოების კრება დანიშნულია კვირას, ღვინობისთვის 6-ს, დილის 2 ს. სასამართლო პალატის დარბაზში. კრების საგანია: 1, წესდების დამტკიცება. 2, გამგეობის სარევიზიო კომისიის, ხაზინადრის და წიგნთსაცავის გამგის არჩევნები. ქართველ იურისტებს სთხოვენ შეძლების და გვარად უკლებლად დაესწრნენ ხსენებულ კრებას. საორგანიზაციო კომისია.

# ცრუ-ქორი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვიდან მოუვიდა ოფიციალური ცნობა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას არც ამიერ კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოსათვის და არც მის თავმჯდომარე ლებედევისათვის არავითარი წარმომადგენლობა არ დაუვალებია.

ამგვარად ბ-ნ ლებედევის ოფიციალური განცხადება, რომ ის არის რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან მის მიერ გამოგონილი აღმოჩნდა.

# დიდი სროლა თბილისში

ღვინობისთვის 4 მთელი ღამე დიდი სროლა იყო ქალაქის ორ უბანში. პირველად საათის დაახლოვებით 9 ნახევარზე გაისმა გამუდმებული ზედიზედ სროლა მტკვრის გაღმა უბანში. 10 წამის შემდეგ მე-2 ასეთივე სროლა. 15 წ. შემდეგ სროლა კვლავ განმეორდა. ამას ზედ მოჰყვა ხამუში სროლა აქა-იქ. ღამის 3 საათიდან კი დიდი სროლის ხმა ისმოდა დრო-გამოშვებით გოლოვინის პროსპექტის მხრიდან. საქმის მდგომარეობა ასეთი გამოირკვა, რომ მილიციელთა რაზმი ოლღას ქუჩაზე სასტუმრო „ანგლეტერეს“ ესროდა, სადაც მიმალულიყო ყაჩაღი დუმბაძე. დუმბაძე მილიციონერებმა დასჭრეს და შეიპყრეს.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

## ომი

**ბერლინი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** ღვინობისთვის 4. სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში ზოოგლედის და როზელერის შუა მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა სტადენ-როზელერის ორივ ნაპირებზე. აქ მტერი ჩვენს ხაზებში შემოიჭრა. ბავარიელ

---

# ქეიშვილი თუ რესპუბლიკა?

ასეთი სათაური ყველას გააკვირვებს. ჩვენი რესპუბლიკა თუმცა ცუდი რესპუბლიკა არის, მაგრამ მაინც რესპუბლიკაა. ვინღა არის ეს ქეიშვილი? და, აი, მე მინდა გიამბოთ ვინ არის ეს ქეიშვილი, რომელსაც არავინ არ იცნობს და რა ყოფილა ნამდვილად საქართველოს რესპუბლიკა, რომლისთვის ადამიანები დღე და ღამ იღწვიან, ჯარები იბრძვიან, მზე ამოდის და ჩადის. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ რესპუბლიკა არაფერი ყოფილა, ქეიშვილი ყველაფერი.

ქეიშვილი ბანკის პატარა მოხელეა. მსახურობდა ერთ ბანკში, მსახურობდა მეორე ბანკში. როდესაც გამოჩნდა, რომ ქეიშვილი ბანკისთვის უხერხული მსახურია—თავიდან მოიშორეს. მაგრამ, რადგანაც თავიდან მოშორება ადვილი საქმე არ არის, მას მისცეს საუკეთესო ატესტაცია და ამ ატესტაციის წყალობით ქეიშვილი მეორე ბანკში გამწესდა.

მეორე ბანკიც დარწმუნდა, რომ ქეიშვილი როგორც მსახური და მუშა არაფერია და გადასწყვიტა თავიდან მოეშორებინა. აქ ყველაფერი ზღაპარს გავს და მეც განმეორება მიხდება:

„მაგრამ რადგანაც თავიდან მოშორება ადვილი საქმე არ არის“—

ბანკმა ქეიშვილის დათხოვნის საკითხი „სინიდისის საკითხად“ აქცია და დაადგინა: არ მიენდოს ქეიშვილს არავითარი საქმე—მაგრამ მიეცეს ჯამაგირი. თუ სინიდისი აქვს—წავა, თუ არა და:

— ამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

ქეიშვილმა ალბად იფიქრა, რომ „სინიდისი“ მხოლოდ სპეკულიანტებისთვის არსებობს და ექვსი თვის განმავლობაში

— თან არაფერს აკეთებდა,

— თან ჯამაგირს იღებდა!

როგორც ხედავთ, კვალიფაციური შრომაა!

მაშინ ბანკმა გადასწყვიტა მისი დათხოვნა.

ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, მაგრამ ბანკის გამგეობამ მაინც ჩაიდინა ეს, რადგანაც, ხომ არსებობს „ატესტაცია“, რომლითაც მსახურის დათხოვნა სულ ადვილი საქმეა.

მაგრამ ბანკი შეცდა.

„ატესტაცია“, რომლითაც ქეიშვილი პირველ ბანკიდან იყო დათხოვნილი, „კარგი“ იყო.

გამგეობამ კი ქეიშვილს „ცუდი“ ატესტაცია მისცა. და გადამწყვეტი მნიშვნელობაც სწორედ ამას ჰქონდა.

აი აქედან იწყება ის, რომ ამ ქვეყნად საქართველოს რესპუბლიკა არაფერი ყოფილა, ქეიშვილი კი ყველაფერი.

ქეიშვილი სულელი არ იყო და იმ დროს, როცა—

— თან არაფერს აკეთებდა,

— თან ჯამაგირს იღებდა—

იყო წევრი „ქ. თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის“ გამგეობისა—

და შემდეგ ამავე გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი.

— გესმით ეს რას ნიშნავს?

და ჯარაც აქ დატრიალდა!

ქეიშვილისთვის თავი გამოიდო ამ „კავშირმა“, საქმეში ჩაერია გუბერნიის შრომის კომისარი, რესპუბლიკის შრომის მინისტრი და ერთის სიტყვით ყველა, ვინც აქამდის სულ არ იცნობდა ქეიშვილს და ვინც იცნობდა საქართველოს რესპუბლიკას.

ეხლა ნება მიბოძეთ ბრჭყალები გავხსნა და მევე ვსთქვა, თუ რა შუაშია საქართველოს რესპუბლიკა იქ, სადაც ლაპარაკი ბანკის მოხელე ქეიშვილზეა.

ჩემს წინ დევს გაზეთი „ბორბა“-ს ნომერი. ეს გაზეთი იმდენად დიდი ფორმატისაა, რომ მის ერთ გვერდის ერთ-მესამედზე დაეტევა მთელი „ყარამანიანი“.

და ამ გაზეთის სწორედ იმ ადგილზე, რომელზედაც მთელი „ყარამანიანი“ დაეტევა, მოთავსებულია „ქალაქ თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის“—

— განცხადება.

განცხადება შეიცავს ქეიშვილის სამსახურიდან დათხოვნის ისტორიას და რადგანაც ისტორია ისეა მოთხრობილი, რომ მართალია ქეიშვილი და არა ბანკის გამგეობა—ამიტომ განცხადება შეიცავს მოწოდებასაც, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ბანკების მოსამსახურეებმა შეაჩერონ მუშაობა, გამოაცხადონ გაფიცვა—

— თუ ქეიშვილი დაკმაყოფილებული არ იქმნა.

ეხლა მკითხველი მიხვდება, რომ „შუაში ყოფილა“ აქ სწორედ საქართველოს რესპუბლიკა და არა ქეიშვილი.

— მაშასადამე ქინქრაქას შესძლებია ზღვის დაწვა და

— ქიანჭველას ფეხების ცას მიბჯენა.

რა ძნელია ეხლა ამაზე წერა, რა ფუქსავატობაა ბანკის პატარა და უნიჭო ქეიშვილზე წერა, როდესაც ჩვენ უნდა ვსწერდეთ ჩვენი ფინანსების ნეკერებზე და გლადსტონებზე.

ქვეყანა განიცდის საშინელ ფინანსიურ კრიზის, ჩვენში ცოტაა ბანკები, ჩვენში ცოტაა ფული, ჩვენში სულ არ არის საბანკო ოპერაცია, რაცა სცემს ჩვენი ფულის კურს და ჰქმნის სასურსათო კრიზის, ესე იგი ჩვენთვის საჭირო ბანკების დღედაღამ მუშაობა, მათი შეუწყვეტელი ოპერაციები, ჩვენი ბანკები ეკლესიებს უნდა ჰგავდენ, რომლის კარები არასოდეს არ იკეტებიან, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს იქ მისვლა, მიტანა, გამოტანა და სწორედ ასეთ საშინელ ფინანსიურ მდგომარეობის დროს პროფესიული კავშირი გაფიცვას აცხადებს.

ესე იგი კავშირი მოუწოდებს ხელი აიღონ მოსამსახურეებმა, მუშაობაზე რაც გამოიწვევს ბანკების დაკეტვას, ოპერაციების მოსპობას, ფულის გაქრობას ბაზრიდან, სანოვაგის გაძვირებას, მოიჯარადრები ვერ გაანაღდებენ თავიანთ კრედიტს, მაშასადამე ვერ შეასრულებენ თავის პირობებს, ჯარს დროზე არ ექნება საჭმელი, საცმელი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ—

„ქ. თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ბატონი ქეიშვილი იმდენად უნიჭო მოსამსახურე ყოფილა, რომ დათხოვნილია ორ ბანკიდან,

ბატონებო! მე გული მერევა და ვიძახი:

— ძირს რესპუბლიკა!

— გაუმარჯოს ქეიშვილს!..

**შალვა ამირეჯიბი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შლეზვიგის ჯარებმა უკუაქციეს და 100 ტყვე წამოასხეს. კამბრესთან ახალი არაფერია. კერძო ბრძოლებია ომენშეილის სამხრეთით პროვილთან, საიდანაც 70 ტყვე წამოვიყვანეთ.

**ბოინის ლაშქარი.** ლა-კატელერს შუა და სენ-კანტენის ჩრდილოეთის ფართო ასპარეზზე ინგლისელები შეეცადნენ ჩვენი ასპარეზის გარღვევას. პირველ იერიშის დროს მტერმა აიღო ლა-კატელე, წაიწია ბორნეომდე(?) და მონტ-ბრეგენამდე. ლე-კატელეს ორივე მხარეს მტერი უკან დავწიეთ. საქსონ-რეინელთა და ლორენის ბათალიონების იერიშებით ალებულ იქმნა ბრეგენი. საღამოთი ისევ გაგრძელდა მტრის იერიშები სენ-კანტენის სამხრეთით, მაგრამ ამაოდ.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** შემენ-დე-დამთან მოწინავე რაზმები მედგრად იბრძვიან. იტალიელთა მკაცრი იერიში მოვიგერიეთ. მდ. ენის ახალ ასპარეზზე ჩავებით მტერს. შამპანებში ფრანგ-ამერიკელებმა იერიშები მოიტანეს სიუიპის და მდ. ენის შუა ასპარეზზე. იერიშებმა მტერს უშედეგოდ ჩაუარა და 100 ტყვე ვიშოვეთ. სომ-პის ჩრდილოეთით მტერი გამაგრდა სენ-ეტიენის ჩრდილოეთით თეთრ მთაზე და მედეხის(?) სიმაღლეებზე. ფრანგთა მცირე რაზმები უკან ჩამორჩნენ. ორფეილის და ენის შუა ასპარეზზე მოწინავე ხაზებზე მტერი დამარცხდა. ლირის სამხრეთით მონტუას სამხრეთ-დასავლეთით ცხარე ბრძოლები გაიმართა. გვარდიელ პოლკებმა აქ მტერი უკუაქციეს. ბავარიელ საპიორთა თანმოქმედებით შალერონში მტერს ისევ წაართვეს. გამეორებულ იერიშებს არავითარი შედეგი არა ჰქონიათ. გუშინ 25 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**ბერლინი.** ღვინობისთვის 4. საღამოს სამხედრო ცნობა. მტრის ძლიერი იერიშები როზელერის ორივე მხარეს, სენ-კანტენის ჩრდილოეთით, შემენ-დე-დამთან და შამპანებში მოვიგერიეთ! არგონების და მაასის შუა ამერიკელების ცდამ, რომ ასპარეზი გაერღვიათ, ამაოდ ჩაიარა.

**ვენა.** ღვინობისთვის 4. სამხედრო ცნობა. ალბანეთის ასპარეზი. ჩვენი ასპარეზის უკან დაწევა შესაფერად ჰსწარმოებს.

**გერმანიის და ოსმალეთის ურთიერთობა**

**სტამბოლი.** ღვინობისთვის 3. თალათ-ფაშამ სთქვა, რომ ბერლინში მოლაპარაკება ოსმალეთის სასარგებლოდ დასრულდა. მოკავშირეთა მიერ მიღებული ზომები პირველად ბულგარეთს შეეხება. ოსმალეთის მთავრობამ უსაჭიროეს ზომებს მიჰმართა.

**ახალი სამინისტრო იაპონიაში**

**ლონდონი.** ღვინობისთვის 3. რეიტერის ცნობის თანახმად შესდგა იაპონელ მინისტრთა კაბინეთი. კატო საზღვაო მანისტრად რჩება.

**ტრანს-ოკეანეს ცნობა**

**ბერლინი.** (ურიცხვოდ). (თავი არა აქვს) სიწყნარეს ჯერ არაფერი არ უშლის. ჩვენ გვწყურია ზავი, ჩვენ გავამაგრეთ ასპარეზი და მოკავშირეებთან შეთანხმებით ვმოქმედობთ. ნეიტრალ სახელმწიფოთა პრესა დონური გაზეთიც ასეთი შეხედულობისაა დღევანდელ მდგომარეობაზე. მოკავშირეთა მეგობარი „ფრენდლი" გაკვირვებულია მალინოვის მიერ გადადგმულ ნაბიჯით. „ნიუ-კურანტი" სწერს: ბულგარეთის ნაბიჯი გერმანელთათვის არ იყო მოსალოდნელი. გაკვირვების ღირსია ის გულცივობა, რომლითაც რეიხსტაგის მთავარი კომიტეტი კამათს აწარმოებს საშინაო კრიზისზე.

**მოსკოვი.** ც. აღ. კომიტ. ბეჭდვითი ბიუროს ცნობა. კრასნოვოდსკი ჩვენმა ჯარმა აიღო.

**აღმოსავლეთის ფრონტი:** ალაპაევის მიმართულებით მოწინააღმდეგემ აიღო სოფ. საშკინო. კრასნოუფიმის მიმართულებით ჩვენი შეტევა ფართოვდება, ავიღეთ რამდენიმე სოფელი. იჟევისა და ვოტკინისაკენ ბრძოლა სწარმოებს.

თურანის (თურქესტნის) ფრონტი: ყაზახების შეტევა ორსკზე მოვიგერიეთ და მტერი სასტიკად დავამარცხეთ. დუტოვის ლაშქრის ნაშთები გავფანტეთ და ორენბურგის მიმართულებით გავრეკეთ. **პარიზი.** სენ-კანტენი ფრანგებმა აიღეს. ჩრდილოეთის ფრონტზე ფრანგები წინსვლას განაგრძობენ. ჩვენ ავიღეთ: რუსინბიეკური, ბუფინარეი, ფილლეი, ფრაკლეი და რროიკურმი. 15 ივლისიდან 30 ენკენისთვემდე შეთანხმების ჯარებს წაუყვანიათ ტყვედ 5,518 აფიცერი, 148,494 ჯარისკაცი; ხელთ უგდიათ 3,669 ზარბაზანი და 23 ათასი მეტი ტყვიისმფრქვეველი. ბერლინი. 3 ოქტომბერი. მთავრობის კრიზისი გრძელდება. კანცლერის თანამდებობაზე დაახლოვებული კანდიდატი მაქს ბადენელი მოლაპარაკებას აწარმოებს პარტიათა ლიდერებთან. 1-ლ თანხმა არიან პრინცის კანცლერად დანიშვნაზე, კონსერვატორები პარლამენტის წინაალმდეგ ილაშქრებიან. ბულგარეთიდან მოსული ცნობები ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მოკავშირეთა ჯარები სოფიიდან 80 კილომეტრის მანძილზე არიან. ქალაქს გაძლიერებული რაზმი იცავს. საღამოს 9 ს. შემდეგ ქუჩებში გამოსვლა აკრძალულია. მალინოვი ბულგარეთის საბჭოს თანხმობით მოქმედობს.

# უცხოეთის ამბები

## დ ო ნ ი.

**გენ. ბოლხოვიტინოვი.**

დონის-როსტოვიდან თბილისში ჩამოსული აფიცერი გადმოგვცემს, რომ იქ ამ დღეებში ხალხმა გაასამართლა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ყოფილი უფროსი ბოლხოვიტინი და ოთხიც სხვა გენერალი. ხალხისაგან ჰბრალდებოდათ, რომ ფრონტის გამოშვლების შემდეგ ისინი ჩაეწერნენ ბოლშევიკთა რაზმებში და ხელს უწყობდნენ რუსეთის დანგრევასა და დაღუპვას.

ხალხის სასამართლომ მათ დახვრეტა მიუსაჯა. დადგენილება გაეგზავნა გენ. ალექსეევს, რომელმაც სიკვდილით დასჯა 10 წლიან კატორღად შეუცვალა. ამ ჟამად ხუთივე გენერალი ციხეში იმყოფება.

# ჯარში გაწვეულ სტუდენტების კრება

ორ ღვინობისთვეს, როგორც გაზეთებში გამოცხადებული იყო, შესდგა ჯარში გაწვეულთა სტუდენტების კრება. კრება გაიხსნა 7 საათზე ამხანაგ კლიმიაშვილის თავმჯდომარეობით. იყო აზრთა გაცვლა გამოცვლა, სახელდობ იმაზე, თუ რა საშუალება გამოეძებნათ სტუდენტებს, რათა მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ზოგიერთი ამხანაგი გამოსთქვამდნენ აზრს, რომ ეშუამდგომლათ სამხედრო მინისტრის წინაშე, რათა ყველა სტუდენტები განთავისუფლებულ იქნენ სამხედრო ბეგრისაგან.

იყვნენ აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც მოითხოვდნენ აუცილებლივ სტუდენტები ჯარში დარჩენილიყვნენ და განეგრძოთ სამშობლისთვის სამსახური, ვინაიდან, მათი აზრით, სამშობლოს მდგომარეობა მოითხოვდა მათ დარჩენას სამხედრო ნაწილებში. ზოგი ამხანაგი გამოთქვამდენ იმ აზრს, რომ ჯარში დარჩენილიყვენ და იმავე დროს ლექციებიც მოესმინათ უნივერსიტეტში. მაგრამ ეს აზრი უარყოფილ იქნა საეროთოდ, რადგან, კრების აზრით, ეს წაავავდა ორი საზამთროს ერთ ხელში დაკავებას. კამათი ხანგრძლივი იყო. ამხანაგები ბევრს ლაპარაკობდნენ საერთოდ სტუდენტების გაჭირვებაზე. ამბობდენ რომ სტუდენტობა ჩაკვდა ყაზარმებში, რომ მათ სრულიად ჩაეხშოთ მისწრაფება იმ დანიშნულებისადმი, რისთვისაც ისინი აღიზარდნენ და სხვა. ერთმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა ძლიერ გაილაშქრა ასეთი მოწოდების წინააღმდეგ და ამბობდა რომ სტუდენტობას უფრო მეტი დანიშნულება შეუძლია სამშობლოს წინაშე აღასრულოს, თუ კი ისინი ჯარში დარჩებიან, დაიცავენ გარეშე მტრისაგან ჩვენს ტერიტორიას და ხელს შეუწყობენ დისციპლინის აღდგენას ჯარში. ბოლოს არჩეულ იქნა სამი ამხანაგი, რომელნიც მოილაპარაკებდნენ კერძოდ სამხედრო მინისტრთან სტუდენტების მდგომარეობაზე. აგრეთვე გადასწყდა მოწვეულ იქმნას მოკლე ხანში სრულიად საქართველოს სტუდენთა კრება, სადაც ნათლად გარკვეულ უნდა იქნეს სტუდენტების საკითხი.

**სტ. ნიკოლოზ შუბლაძე.**

# საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ცხენები

ცხენი კეთილშობილი და ლამაზი ცხოველია. მისი ღონე, სიმალე, მამაცობა, სიყვარული და ერთგულება, აგრეთვე გულისხმიერება ცნობილია ყველასათვის. მაგრამ გარდა ეკონომიურ და ესთეტიურ მნიშვნელობისა ცხენს დიდი მილიტარული მნიშვნელობა აქვს.

დღეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოს არ მოეპოვება საკუთარი ჯიში ცხენებისა, გარდა იმისა, რომელიც დარჩა რუსეთის დაშლის შემდგომ, მაგრამ ეს დარჩენილი სამხედრო ცხენები ისეთ ანტისანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობაშია, რომ მათ მოელის მთელი განადგურება, თუ დაუყოვნებლივ არ იქმნა ყურადღება მიქცეული სახელმწიფოსაგან, განსაკუთრებით კი სამხედრო უწყებისაგან.

თითქმის ყველა ჯარის ნაწილებში ცხენების თავლა არ არის, პატივი თითქმის ნახევარ ალაბის სისქეზეა, ცხენების მისაბმელი ალაგიც ასეთსავე მდგომარეობაშია.

წყლის დასარწყულებელი სადენები, თუ კი იმყოფება ნაწილებში ძლიერ უსუფთაოთაა. არხები სადაც მილიდან გადმოდენილი წყალი მიედინება—გაბინძურებულია. არხი ამოვსილია პატივით—პატივი დამპალია—ასეთი ალაგები მეტად საშიშია ჯარისკაცებისათვის და ცხენების ჯანმრთელობისთვის, რადგან სინოტიე სიმშრეს აჩენს. სინოტიე არის ბუდე შავიჭირისა, სიმშრე კი მალარიისა.

ცხენები ასეთი სიბინძურის გამო ყველა ავადმყოფია კანის ავადმყოფობით—უმეტესად „herpes tenssnrens", „seabies" და მასთან ცხენებზედ გავრცელებულია „mallsns". ამ მოვლენებს ხელს უწყობს ასეთი ანტისანიტარული და ანტიჰიგიენური მდგომარეობა სამხედრო ცხენების. ცხენები არ იწმინდებიან, არ სუფთავდებიან. კანიდან ბანლის ბოლომდე სავსეა ჭუჭყით—მტვრით. ფლოქვი არასოდეს არ უსუფთავდება და არ იბანება. დაჭედვა ცხენების სულ უვარგისია—თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხენები არამც თუ იჭედებიან, არამედ უფუჭებენ ფროქვებს.

სამხედრო ცხენები რომ არ განადგურდენ საჭიროა შემდეგი: დაუყოვნებლივ გასუფთავდეს ცხენების თავლები, საბმელი ალაგები, მთელი ეზო სამხედრო ნაწილებისა, წყალსადენი მილები, არხები; შეკეთდეს ბაგები. თავლის მიწური იატაკები გასწორდეს და ორმოები ამოივსოს სუფთა მიწით. გაიწმინდოს და გასუფთავდეს ბაგები, ჰაერის სადენი მილები და ფანჯრები. ყველა ამ მანიპულაციის შემდეგ მოხდება დეზინფექცია ჰგიდრაპულტით. მოეწყოს საზარბაზნო და საცხენოსნო ნაწილებში, ფერშლების მოსამზადებელი სკოლები. კარგი ფლოქვი მაჩვენებელია ცხენის კარგი სამსახურისა, ამისათვის საჭიროა სამჭედლო სკოლები.

აგრეთვე საზარბაზნო და ცხენოსან ნაწილებში უნდა იყოს მოწესრიგებული ცხენების საავადმყოფო ლაზარეთები, აკრძალულ უნდა იქმნეს ცხენების მავთულით დაბმა. უზრუნველყოფილი წამლებით და ქირურგიული იარაღებით.

თუ ზემოხსენებული არ იქმნა გატარებული დაუყოვნებლივ ცხოვრებაში—ჩვენი ლაშქარი დაკარგავს მთელ შემადგენლობას სამხედრო ცხენებისას. მდგომარეობა დაყოვნებას არ ითხოვს —„ურემი რომ გადაბრუნდება გზა მერე გამოჩნდება".

**უფრ. ბეითალი ი. ქუთათელაძე.**

# თეატრი და მუსიკა

**მსახიობ ნ. ტაბენცკის მეხვეურობით** თბილისში იხსნება დრამატიული კურსები. კურსები ორ განყოფილებად იყოფა (7 თვით). 1-ლ ხარისხით დასრულებულთ თავისუფალ მხატვრის უფლება ეძლევათ. საგნებში ჩათვლილია ქართულ დრამატიულ ლიტერატურის ისტორიაც. მოწვეულ არიან: ა. წუწუნავა, სერგი გოროდეცკი, ნ. პოლიაევი, შირვანზადე, დიმოვი, ნარიმანოვი, ვ. შჩედრინსკი, ფ. რადოლინი და სხ. კურსების ინსპექტორად მოწვეულია შჩედრინსკი. კურსებთან მოწყობილ იქნება საგანგებო კინოკლასი ქართულ და სომხურ დრამებისა და კომედიის სცენებისათვის.

„ლადია არგონავტოვ"-ისთვის 7 ღვინობისთვიდან მე-8 ციკლოსისთვის მზადდება: „ბომდგარი ბოკაჩიო", „უკანასკნელი ტოხგა" და „ფაუსტი".

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40,3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


ვღებულობ ყოველნაირ საქმის ქაღალდს

ქართულ მანქანაზედ გადასაბეჭდავათ,

თომას ქუჩა, № 28, შესასვლელი სინოდალური ქუჩა № 1.

ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტბის, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს" რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

ვამზადებ ქართულ ენაზე ბავშვებს

1-ლ და მე-2-რე კლასისთვის, ჩემ შვილებთან ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შესდგება ორი ჯგუფისაგან. ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი იქნება მიღებული. ქართულ ენაში ჩამორჩენილ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ახალი ენები მსურველთათვის განსაკუთრებულ ფასში.

მოსალაპარაკებლად 4—7 საათამდე. ნოვობეგუთოვის ქუჩა 9. მეორე სართულში. ბინა № 4. ტელეფონი 10—02. (2—1791)

ინტელიგენტ ქალთა წრე

იღებს შესაკერავებს როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა"-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის" სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეძკები". სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—6

ამიერ-კავკასიის ბანკი

მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **8,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000** აქციათა მეორე გამოცემით, თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სადერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით [illegible]

9) [illegible]

10) ახალი აქციონერები [illegible] **1919 წლის პირველ იანვრიდან.**

11) [illegible]

**შენიშვნა:** [illegible] **1918 წლის 1-ლ ნოემბრამდე.** 10—4

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

მე ც ნ ი ს დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

საავადმყოფო

სამოგზაურო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

გ ა ი ხ ს ნ ა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძე

ქებულიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ე ქ ი მ ი

ი. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექ. ვ. მ. მაჭავარიანისა და ექ. ი. ნაჭყებიას

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ ავადმყოფების მიღება**—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

დოქტორი მედიცინისა

მიხეილ ანდრიას ძე

ქალდანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე.- საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კილანდაძისა, გამბაშვის შესახვევი № 1.